

ძალაშია ხელმოწერის დღიდან

მემორანდუმი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და უკრაინის მთავრობას შორის გარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და უკრაინის მთავრობა, შემდგომში “მხარეებად” წოდებულნი,

ეყრდნობიან ორ სახელმწიფოს შორის ჩამოყალიბებულ ტრადიციულ მეგობრულ და საქმიან ურთიერთობებს,

მხვედველობაში იღებენ გარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობისა და ერთობლივი ძალისხმევის კოორდინირების განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და აქტუალობას ადამიანის საცხოვრებელი ჯანმრთელი გარემოს შენარჩუნებაში,

ცნობენ, რომ თანამშრომლობა ეკოლოგიის დარგში წარმოადგენს მნიშვნელოვან და აუცილებელ ელემენტს ორმხრივი ურთიერთობების გაძლიერებისათვის ორივე ხალხის საკეთილდღეოს,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეები განავითარებენ ურთიერთხელსაყრელ და გრძელვადიან თანამშრომლობას გარემოს დაცვისა და ბუნების გამოყენების დარგში.

2. მხარეები თავიანთი ბუნების დაცვის უწყებების მეშვეობით განახორციელებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის დარგში შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

ა. წყლის რესურსებისა და საჰაერო ბაზინის დაცვა დაბინძურებისაგან;

ბ. მონიტორინგი და გარემოს დაცვაზე ზემოქმედების შეფასება;

გ. საგანგებო ეკოლოგიური სიტუაციები;

დ. ტოქსიკური და სახიფათო ნარჩენებისა და ტვირთების მეორე მხარის ტერიტორიაზე (ტერიტორიის გავლით) გადაადგილების შესახებ ინფორმაციის გაცვლა საერთაშორისო ნორმებისა და შეთანხმებების შესაბამისად;

ე. ბუნების დაცვის პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტები;

ვ. ბუნების დაცვის ღონისძიებების სამართლებრივი საფუძველი, ეკონომიკური კანონმდებლობის ნორმების დაახლოება;

ზ. ბუნების დაცვის ინფორმაციის გაცვლა, რესურსდამზოგი და უნარჩენო ტექნოლოგიების ჩათვლით;

თ. შავი ზღვის გარემოს დაცვა შავი ზღვის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად;

ი. ცოცხალი ბუნების დაცვა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, კონტროლი იშვიათი და გადაშენების პირას მდგარი მცენარეებისა და ცხოველების სახეობების გადაყვანაზე;

კ. ეკოლოგიური განათლება.

მხარეები ასევე ითვალისწინებენ ამ სფეროში თანამშრომლობის სხვა მიმართულებებს.

3. მხარეები გარემოს დაცვის დარგში თანამშრომლობას ახორციელებენ შემდეგი ფორმებით:

ა. ინფორმაციისა და ნორმატიული დოკუმენტაციის გაცვლა;

ბ. კონფერენციების, სემინარების, სამუშაო თათბირების, კონსულტაციების ორგანიზაცია;

გ. სპეციალისტების მომზადება და გაცვლა;

დ. სამეცნიერო-ტექნიკური, საექსპერტო და საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარება.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობის ფორმები შეიძლება შეივსოს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

4. აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები ხელს მოაწერენ პრაქტიკულ შეთანხმებებს, რომლებიც განსაზღვრავენ დახმარების გაწევას და პერსონალის მიზნას გარემოს გრანსასასმღვრო დაბინძურების საშიშროებისას საგანგებო სიტუაციების შექმნის შემთხვევაში.

5. მხარეები ხელს შეუწყობენ სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო და კომერციულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობასა და პირდაპირი კონტაქტების განვითარებას გარემოს დაცვის დარგში.

6. მხარეები გარემოს დაცვის დარგში წარმოჭრილ სადაო საკითხებს გადაწყვეტენ კონსულტაციების, პირდაპირი მოლაპარაკებების ფაქტების დამადასტურებელი პროცედურებისა და შესათანხმებელი პროცედურების საშუალებით.

7. მოცემული მემორანდუმის დებულებანი არასგზით არ არღვევენ მხარეების იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ თითოეული მხარის მიერ მესამე მხარესთან დადებული მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან.

8. მოცემული მემორანდუმი შედგენილი და ხელმოწერილია ქ. კიევში 1993 წლის 13 აპრილს ორ ეგზემპლარად, თითოეული ქართულ და უკრაინულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკის

უკრაინის მთავრობის

მთავრობის სახელით

სახელით